ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) **ლია შაქარიშვილი**
თანამდებობის დასახელება განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქობულეთის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე
ფრაქციისდასახელება "ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო"
კომისიის დასახელება განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა და იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიების წევრი.
არჩევის წესი პროპორციული
საანგარიშო პერიოდი - 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი –რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 15

   საკრებულოს სხდომებზე დასწრება 15

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 22

   მ/შ დროებითი კომისიების

   კომისიის სხდომებზე დასწრება მ/შ დროებით კომისიებში 22

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 4

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება 4

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები

საანგარიშო პერიოდში ჩემი საქმიანობა მიმართული იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტში განათლების, კულტურისა და ახალგაზრდული მიმართულებების განვითარების, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ადგილობრივი პოლიტიკის გაუმჯობესებისკენ.

საქმიანობის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული ინიციატივების, მუნიციპალური პროგრამების მხარდაჭერასა და განვითარებას, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების დღის წესრიგში დაყენებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში არსებული მექანიზმების გამოყენებით კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობას.

ანგარიში მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განხორციელებულ საქმიანობასა და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ფარგლებში გაწეულ საქმიანობას.

საქმიანობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

1. კომისიის საქმიანობის ორგანიზება და ძირითადი მიმართულებები
   როგორც ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომკისიის თავმჯდომარე,

საანგარიშო პერიოდში ვხელმძღვანელობდი კომიის საქმიანობას, ვმონაწილეობდი შესაბამისი საკითხების განხილვასა და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების განსაზღვრაში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 15 სხდომა.კომისიის მუშობის ფარგლებში ყურადღება ეთმობოდა განათლების, კულტურის, სპორტის და ტურიზმის სფეროებში არსებული საჭიროებების განხილვასა და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებას, ქუჩების სახელდების საკითხებს.

ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ კომისიის საქმიანობა არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ საკითხების ფორმალური განხილვით და ხელს უწყობდეს ისეთი ინიციატივების წარმოჩენასა და მხარდაჭერას, რომლებსაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

2. მუნიციპალური პროგრამების ინიცირება და განვითარება

ჩემი საქმიანობის ერთ–ერთ მნიშვნნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ისეთი პროგრამების ინიცირება, რომელთა მიზანია განათლების, ახალგაზრდობის, ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და მოზარდებში შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.

ჩემი ინიციატივით შემუშავებული და მუნიციპალურ ბიუჯეტში ინტეგრირებული ოთხი მნიშვნელოვანი მიმართულებაა:

2.1. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდამჭერი პროგრამა

პროგრამის მიზანია ახალგაზრდებისთვის საკუთარი იდეების რეალიზების შესაძლებლობების შექმნა, სამოქალაქო ქტიურობის წახალისება და ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ხელშეწყობა.

ახალგაზრდების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული პროექტების განხორციელებისთვის, არამედ პასუხსიმგებლობის, დამოუკიდებელი აზროვნებისა და საზოგადოებრივი პროცესებისადმი ინტერესის განვითარებისთვისაც .

პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამჭვირვალე შერჩევის კრიტერიუმებს, საჯარო ინტერესებზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებსა და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებას.

2.2. დავით ხახუტაიშვილისა და აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის მაღალი აკადემიური მოსწრების სსტუდენტთა წამახალისებელი სტიპენდიის პროგრამა

აღნიშნული ინიციატივის მიზანია მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა წახალისება, განათლების მნიშვნელობის ხაზგასმა და ახალგაზრდებში ცოდნისა და აკადემიური მოტივაციის გაძლიერება.

პროგრამის მუნიციპალურ ბიუჯეტში ინტეგრირება წარმოადგენს განათლების ხელშეწყობის ინსტიტუციურ მექანიზმს და გამოხატავს ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობას ახალგაზრდების აკადემიური წარმატების მხარდაჭერაში.

მიმაჩნია, რომ განათლებაში ჩადებული რესურსი გრძელვადიანი საზოგადოებრივი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა/

2.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერი პროგრამა

პროგრამა ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის, პროფესიული შესაძლებლობებისა და საკუთარი საქმიანობის წამოწყების ხელშეწყობას ემსახურება.
მისი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ქალებს ეძლევათ შესაძლებლობა, განავითარონ საკუთარი ბიზნესიდეები, შექმნან შემოსავლის წყარო და გააძლიერონ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობა.

პროგრამის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქალებისთვის,რომელთაც ფინანსურ რესურსებზე წვდომის შეზღუდვის გამო საკუთარი იდეების განხორციელება უჭირთ.

ჩემი მიზანია , პროგრამის შესაძლებლობები ეტაპობრივად გაიზარდოს, რათა უფრო მეტ ქალს მიეცეს საკუთარი საქმიანობის წამოწყების და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესაძლებლობა.

2.4. ზურაბ გორგილაძისა და ამირან ხაბაზის სახელობის მოზარდთა კონკურსი

კიდევ ერთი მნიშვ ნელოვანი ინიციატივაა პოეტების, ზურაბ გორგილაძისა და ამირან ხაბაზის სახელობის მოზარდთა კონკურსი, რომელიც კულტურის ცენტრის ფარგლებში ხორციელდება.

კონკურსის მიზანია მოზარდებში ლიტერატურისა და შემოქმედებისადმი ინტერესის გაღვივება, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათი შემოქმედებითოი შესაძლებლობების განვითრების ხელშწყობა.

ადგილობრივიო კულტურული მემკვიდრეობისა და ცნობილი შემოქმედებითი პიროვნებების სახელის დაკავშირება ახალგაზრდულ ინიციატივებთან ხელს უწყობს, როგორც ახალი თაობის შემოქმედებით განვითარებას, ისე კულტურული მეხსიერების შენარჩუნებას.

3. ახალგაზრდული პროგრამების განხორციელებისას საზოგადოებრივი ინტერესისა და საბიუჯეტო პასუხისმგებლობის დაცვა

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროცესში ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალური რესურსები განაწილდეს გამჭვირვალედ, თანასწორი მიდგომით და პროგრამების მიზნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდულ ინიციატივებთან დაკავშირებული ზოგიერთი პროექტის განხილვისას დავაფიქსირე განსხვავებული პოზიცია და ყურადღება გავამახვილე პროექტების საზოგადოებრივ სარგებლიანობაზე, შერჩევის სამართლიან კრიტერიუმებსა და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

ჩემი პოზიცია ეფუძნება პრონციპს, რომ ახალგაზრდების მხარდაჭერა უნდა ემსახურებოდეს ახალგაზრდების რეალურ საჭიროებებს , ხოლო საჯარო ფინანსების

განკარგვა უნდა იყოს დასაბუთებული, გამჭვირვალე და მუნიციპალური პროგრამების მიზნებთან შესაბამისობაში.

აღნიშნული საკითხების განხილვისას ჩემთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტილების შეფასება, არამედ ისეთი პრაქტიკის დამკვიდრება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებას.

4. ღონიძიება :გმირის დღე“

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობა

2025 წლის 4 დეკემბერს, ქობულეთის კულტურის სახლში გაიმართა ღონისძიება „გმირის დღე“, რომელიც პარლამენტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე დროებითი კომისიის ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა.

ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდებში ეროვნული თვითშეგნების, პატრიოტული სულისკვეთებისა და ისტორიული მეხსიერების გაძლიერება, ასევე ქართველი გმირების ღვაწლისა და მათი მაგალითების პოპულარიზაცია.

სპიკერებმა პროფესორმა ნაილა ჩელებაძემ და ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგმა სულხან შაქარიშვილმა ისაუბრეს ისტორიული გმირების როლზე ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში და იმაზე , თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ მაგალითებს თანამედროვე საზოგადოებისთვის.
მოხსენებების შემდეგ გაიმართა კითხვა–პასუხი,რამაც მოსწავლეებს შესაძლებლობა მისცა, აქტიურად ჩართულიყვნენ განხოლვაში.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები, სკოლის დირექტორები და პედაგოგები, საქართველოს პარლამენტის წევრი ზაალ მიქელაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. ღონისზიებას დაახლოებით, 400–მდე ადამიანი დაესწრო, რაც თავდაპირველ მოლოდინს მნიშვნელოვნად აღემატებოდა.

ღონისძიების მასშტაბმა და მონაწილეთა ჩართულობამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ახალგაზრდებში ისტორიული ნეხსიერებისა და ეროვნული ღირებულებების შესახებ საგანმანათლებლო შეხვედრების მნიშვნელობა.

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობა

1. საბჭოს ინსტიტუციური განვითარეებისა და დებულებაში ცვლილების დამტკიცება

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ფარგლებში ჩემი ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტია საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება, მისი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების დაცვა და დებულებით განსაზღვრული წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში დავაინიცირე საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანა, რომელიც საბჭოს წევრთა რაოდენობის 17–დან 19–მდე გაზრდას ითვალისწინებდა. ცვლილება დამტკიცდა.

ცვლილების საჭიროება გამოიწვია საბჭოს შემადგენლობის ფორმირებისას წარმოქმნილმა საკითხმა მუნიციპალიტეტის მერის მხრიდან საბჭოში წარმოდგენილ შემადგენლობაში არ იყვნენ დებულებით გათვალისწინებული ის პირები, რომელთა მონაწილეობაც საბჭოში აუცილებელია. კერძოდ, დებულება ითვალისწინებს მერიის მხრიდან ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირისა და

ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების უფროსის მონაწილეობას.

ვინაიდან უკვე წარმოდგენილი წევრების შემადგენლობის შენარჩუნება მიზანშეწონილად ჩაითვალა, ხოლო დებულებით განსაზღვრული წევრთა რაოდენობა 17–ს შეადგენდა, დღის წესრიგში დადგა წევრთა რაოდენობის გაზრდის საკითხი. ჩემი ინიციატივით დამტკიცებული ცვლილების შედეგად საბჭოს წევრთა რაოდენობა 19–მდე გაიზარდა, რამაც შესაძლებელი გახადა უკვე წარმოდგენილი წევრების შენარჩუნებასთან ერთად, დებულებით გათვალისიწნებული წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

ეს გადაწყვეტილება ემსახურებოდა არა მხოლოდ საბჭოს შემადგენლობის რაოდენობრივ ცვლილებებას, არამედ ინსტიტუციური წესრიგის აღდგენას, დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასა და საბჭოს საქმიანობაში შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მონაწილეობის ხელშეწყობას.

მიმაჩნია, რომ საბჭოს ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვს მკაფიო სამართლებრივ საფუძველს, უწყებათაშორის კოორდინაციასა და თითოეული წევრის პასუხისმგებლობის სათანადო განსაზღვრას.

2. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერი პროგრამა

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ჩემი საქმიანობის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი მიმართულებაა
2022 წლიდან მოქმედი პროგრამა მიზნად ისახავს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობას, ბიზნესიდეების განხორციელების შესაძლებლობის შექმნასა და შემოსავლების განვითარებას.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 500–დან 5000 ლარამდე ფინანსური მხარდაჭერა. განსაკუთრებული საჭიროების მქონე გარკვეული ჯგუფებისთვის მოქმედებს თანადაფინანსების შეღავათიც, რაც პროგრამის ხელმისაწვდომობის გაზრდას ემსახურება.
პროგრამის საწყის ეტაპზე მუნიციპალური დაფინანსება გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერასაც უკავშირდებოდა, ხოლო 2023 წლიდან პროგრამა მუნიციპალიტეტის რესურსით გაგრძელდა.
2026 წელს პროგრამა მეხუთედ გამოცხადდა. დაფიქსირდა განაცხადების რეკორდირული რაოდენობა. ეს ადასტურებს, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საჭიროებს თანმიმდევრულ, გრძელვადიან და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას.
ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შესაძლებლობები ეტაპობრივად გაიზარდოს, რათა უფრო მეტ ქალს მიეცეს საკუთარი საქმიანობის წამოწყებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა.

3.კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი–ვიზრუნოთ ქალთა ჯანმრთელობაზე“

2026 წლის ოქტომბერში მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმე ქალთა ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ორგანიზებასა და განხორციელებას.

კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი–ვიზრუნოთ ქალთა ჯანმრთელობაზე“ მიზნად ისახავდა ქალთა ჯანმრთელობის საკითხებზე საზოლგადოების ინფორმირებას, ძუძუს კიბოს ადრეული გამოვლენის მნიშვნელობის წარმოჩენას, სკრინინგის პოპულარიზაციასა და ქალების წახალისებას, დროულად იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე.

კამპანია განხორციელდა ქართული ოცნების ქობულეთის ქალთა ორგანიზაციის ორგანიზებით, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ჩართულობითა და ფონდი „სიცოცხლის“ მონაწილეობით. მასში ,ჩემი ინიცირებით, ჩაერთნენ ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები და სხვადასხვა ორგანიზაცია.

3.1.მთავარი ღონისძიება
2026 წლის 20 ოქტომბერს ქობულეთის კულტურის სახლში გაიმართა კამპანიის მთავარი ღონისძიება.
მამოლოგმა თემურ გოგიტიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: „ვარდისფერი ოქტომბერი– რატომ არის ადრეული დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანი და ხელოვნური ინტელექტის როლი დიაგნოსტიკის სფეროში“

ღონისძიების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ვარდისფერი ოქტომბრის თემატიკაზე შექმნილი ბავშვთა ნახატების გამოფენა. ბავშვებისა და პედაგოგების მონაწილეობამ კამპანიას საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ჩართულობის დამატებითი მნიშვნელობა შესძინა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, სტუმრები, პედაგოგები და საზოგადოების წევრები. კამპანიის ფარგლებში გაიმართა სიმბოლური ვარდისფერი აქციაც.

3.2. პარტნიორობა და საზოგადოებრივი ჩართულობა

კამპანიის განხორციელებაშკი მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი ბიზნესის, საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების ჩართულობა.

პარტნიორებს შორის იყვნენ ფონდი „სიცოცხლე“, აფთიაქი „თამარი“ , სარეაბილიტაციო ცენტრი „მედსთარი“, საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ , ქობულეთის მუზეუმი.

კამპანიაში ასევე ჩაერთნენ მაღაზია „ლო–ლო“, საკონდიტრო „პერლა“, საკონდიტრო „იო–იო“, სასტუმრო ჯორჯია პალასთან არსებული საკონდიტრო და სასტუმრო „შატო–კვირიკე“ . კამპანიის ვიზუალურ და შემოქმედებით მხარეს ხელი შეუწყო ქობულეთის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგმა და მხატვარმა მზევინარ ნოღაიდელმა, რომელმაც შექმნა ნამუშევარი „სიცოცხლის ხე“ .
პარტნიორთა ჩართულობამ აჩვენა, რომ ქალთა ჯანმრთელობის მხარდაჭერა მოითხოვს საზოგადოების, ბიზნესის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობას.

3.3. სკრინინგისა და ადრეული დიაგნოსტიკის ხელშეწყობა
კამპანიის ფარგლებში ყურადღება დაეთმო არა მხოლოდ საინფორმაციო ღონისძიებებს, არამედ სკრინინგისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებასაც.
ოქომბერში მობილური მამოგრაფიის მომსახურება ხელმისაწვდომი იყო ლეღვასა და სოფელ ქობულეთში.
ამ მიმართულებით მთავარი მიზანია, ქალებმა მიიღონ სანდო ინფორმაცია, იცოდნენ ხელმისაწვდომი მომსახურების შესახებ და შეძლონ საჭირო გამოკვლევების დროულად ჩატარება.
კამპანიის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა მედიაშიც, მათ შორის, „რუსთავი 2“–ის სიუჟეტით. ქალთა ჯანმრთელობის საკითხებზე ვისაუბრე აჭარის ტელევიზიის გადაცემაში „ახალი დილა“ .

4 ძალადობის მსხვერპლთა საცხოვრებლით მხარდაჭერის საკითხი

ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით ერთ–ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიმაჩნია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საცხოვრებელი პირობებით მხარდაჭერა.
საანგარიშო პერიოდში არაერთხელ დავაყენე დღის წესრიგში მუნიციპლიტეტის დონეზე ისეთი პროგრამის შექმნის საჭიროება, რომელიც ძალადობის მსხვერპლ ქალებს საცხოვრებლის ქირის დაფინანსებით დაეხმარება და ხელს შეუწყობს მათ უსაფრთხო გარემოში ცხოვრების გაგრძელებას.
მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ჯერ არ ჩამოყალიბებულა დამოუკიდებელ მუნიციპალურ პროგრამად, კონკრეტულ შემთხვევებში, ჩემი რეკომენდაციის საფუძველზე, ქირის გადასახდელად თანხა გამოყო მუნიციპალიტეტმა სარეზერვო ფონდიდან.
მიმაჩნია, რომ ცალკეული შემთხვევების მხარდაჭერასთან ერთად მნიშვნელოვანია საკითხის სისტემური გადაწყვეტა, რათა დახმარების შესაძლებლობა ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და მდგრად მექანიზმს.

ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება ჩემი საქმიანობის ერთ–ერთ პრიორიტეტად რჩება.

5. ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება და გამოცდილების გაზიარება

2026 წლის 21–22 სექტემბერს მონაწილეობა მივიღე დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა შეხვედრაში „ქალისა და კაცის თანასწორობის ადგილობრივი პოლიტიკის გაძლიერება' , რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაციის და გაეროს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით გაიმართა.
შეხვედრაზე ერთ–ერთი მომხსენებელი ვიყავი და წარმოვადგინე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამოცდილება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და ადგილობრივ დონეზე შესაბამისი პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით.
გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ადგილობრივი პროგრამების განვითარებისთვის, სხვა მუნიციპალიტეტების პრაქტიკის გასაცნობად და ქალთა საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკის გასაძლიერებლად.

III. ძირითადი შედეგები და სამომავლო პრიორიტეტები
საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა მოიცავდა მუნიციპალური პროგრამების ინიცირირებასა და მხარდაჭერას, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ღონისძიებების ორგანიზებას, ქალთა ჯანმრთელობისა და ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე მუშაობას და საბჭოს ინსტიტუციური ფუნქციონირების გაუმჯობესებას.

ძირითად შედეგებსა და სამუშაო მიმართულებებს შორის გამოვყოფ:

განათლების, ახალგაზრდობის, კულტურისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით ოთხი ინიციატივის მუნიციპალურ ბიუჯეტში ინტეგრირებას.
საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის 15 სხდომის ხელმძღვანელობას საანგარიშო პერიოდში ღონისძიება „გმირის დღის „ ორგანიზებასა და ახალგაზრდების ისტორიულ–საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობას.
ქალთა ეკონომიკური გაძლიერენის მხარდამჭერი პროგრამის გაგრძელებასა და 2026 წლის მეხუთე ეტაპის განხორციელებას.
ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს წევრთა

რაოდენობა 17–დან 19–მდე გაიზარდა და უზრუნველყოფილი გახდა დებულებით გათვალისწინებული წარმომადგენლობის საკითხის მოწესრიგება: კამპანიის „ვარდისფერი ოქტომბერი–ვიზრუნოთ ქალთა ჯანმრთელობაზე „ განხორციელებას, პარტნიორი ორგანიზაციებისა და ბიზნესის ჩართულობას და სკრინინგის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

ძალადობის მსხვერპლთა საცხოვრებლით მხარდაჭერის საკითხის დღის წესრიგში შენარჩუნებასა და ცალკეულ შემთხვევებში სარეზერვო ფონდის რესურსით დახმარების ხელშწყობას.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და ადგილობრივი პოლიტიკის გამოცდილების გაზიარებასა ეროვნულ და რეგიონულ შეხვედრებზე.

სამომავლოდ ჩემს პრიოროტეტებად რჩება:

1.განათლების, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულებით ინიცირებული მუნიციპალური პროგრამების განვითარება და მათი ეფექტიანობის ხელშეწყობა
2. მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მხარდაჭერისა და ახალგაზრდული ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება.
3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის რესურსისა და ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა.
4. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ეფექტიანი ფუნქციონირება დ უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება.
5. ძალადობის მსხვერპლთა საცხოვრებლით მხარდაჭრის მდგრადი მუნიციპალური მექანიზმის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
6. ქალთა ჯანმრთელობის, სკრინინგისა და ადრეული დიაგნოსტიკის შესახებ საზოგადოებრივი ინფორმირების გაგრძელება.
7. მუნიციპალური რესურსების გამჭვირვალე, მიზნობრივი და საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებული განკარგვის ხელშეწყობა.

დასკვნა

ჩემთვის ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა პასუხისმგებლობაა, რომელიც მოითხოვს მოქალაქეთა საჭიროებების მოსმენას, ინიციატივების წამოყენებას, სამართლებრივი წესრიგის დაცვასა და საკითხების თანმიმდევრულ გადაწყვეტაზე მუშაობას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობისთ ვცდილობდი, განათლების, ახალგაზრდობის, ქალთთა ეკონომიკური გაძლიერებისა და ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით შემექმნა დამატებითი შესაძლებლობები და გამეძლიერებინა მუნიციპალიტეტის როლი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

მიმაჩნია, რომ მიღწეული შედეგების შენარჩუნება და განვითარება მოითხოვს მუშაობის გაგრძელებას, პარტნიორებთან თანამშრომლობას, გადაწყვეტილებების გამჭვირვალობასა და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებას.

ჩემი საქმიანობის ძირითად პრონციპად რჩება კანონის უზენაესობა, საჯარო პასუხისმგებლობა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული მუშაობა.

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

_____

_____

_____

_____

_____

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 100 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 500

7. მოქალაქეებთან შეხვედრებზე გამოთქმული ძირითადი საკითხები: განათლების, კულტურის მიმართულებით დასაქმების შუამდგომლობის მოთხოვნა, სოციალური ხასიათის საკითხები

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, კონკრეტული საკითხები)

შუამდგომლობა უწყებებს შორის

2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ინიცირებული საკითხებიდან მიღებული იქნა ---- დადგენილება, ---- განკარგულება.

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი და სხვა მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები.

---შევსების თარიღი 30.10.2026

წარდგენის თარიღი 30.10.2026

ხელის მოწერა